„ენერგო-პრო“ ჯგუფი

განგაშის (ინფორმირების) პოლიტიკა

2024

ENERGO-PRO

განგაშის (ინფორმირების) პოლიტიკა (“პოლიტიკა”)

1. შესავალი

2019 წლის ოქტომბერში, ევროპარლამენტმა და საბჭომ მიიღეს ევროკავშირის 2019/1937 დირექტივა ("დირექტივა"), რომელიც ადგენს ინფორმატორთა დაცვის მოთხოვნებს და აღიარებს მათი დაბალანსებული და ეფექტური დაცვის აუცილებლობას. ჩეხეთის რესპუბლიკამ, ბულგარეთმა, ესპანეთმა და სლოვენიამ გადაიტანეს დირექტივა ეროვნულ კანონმდებლობაში ამ პოლიტიკის თარიღისთვის. პოლიტიკა განსაზღვრავს ENERGO-PRO-ს პასუხისმგებლობებსა და ვალდებულებებს ინფორმატორთა დაცვასთან დაკავშირებით და ეხება როგორც ENERGO-PRO-ს ("კომპანია"), ასევე მის შვილობილ კომპანიებსაც ("ჯგუფი").[1]

2. განმარტება

ევროკავშირი ინფორმატორებს უწოდებს “პირებს, რომლებიც აწვდიან ინფორმაციას (შესაბამის ორგანოებს და არა - შესაბამისსაც) ან გამოავლენენ და აწვდიან (საზოგადოებას) ინფორმაციას სამუშაოსთან დაკავშირებულ კონტექსტში ჩადენილი დანაშაულის შესახებ, რაც ხელს შეუწყობს ზიანის თავიდან აცილებას და საზოგადოებრივი ინტერესის საფრთხისან ზიანის აღმოჩენას, რაც შეიძლება სხვაგვარად დაიმალოს’’.

პოლიტიკის მიზნებისთვის, ინფორმატორი შეიძლება იყოს ნებისმიერი ჯგუფის ყოფილი, ამჟამინდელი ან სავარაუდო პარტნიორი, დირექტორი, ოფიცერი, მენეჯერი, თანამშრომელი, თანამშრომლის კანონიერი წარმომადგენელი, მიმწოდებელი,კონტრაქტორი, მოხალისე ან სტაჟიორი.

პოლიტიკა იცავს ინფორმატორს (ქვემოთ, მე-6 თავში მითითებულ სხვა დაკავშირებულ პირებთან ერთად), თუ ის შეიტყობს შესაძლო უკანონო საქმიანობის (ან სხვა მატერიალური დანაშაულის შესახებ) რომელიმე ქვემოთ მოცემულ სფეროში:

- ნებისმიერი დანაშაული ან სამართალდარღვევა, რომლისთვისაც შეიძლება დაწესდეს ჯარიმა მინიმუმ 4000 ევროს ოდენობით (ან მისი ექვივალენტი ნებისმიერ ვალუტაში).[2]
- ძალაუფლების ბოროტად გამოყენება;
- კონკურენციის საწინააღმდეგო;
- ევროკავშირის სახელმწიფო დახმარების წესების დარღვევა;
- ქცევის გლობალური კოდექსისა და კომპანიის პოლიტიკის დარღვევა;

- ინტერესთა კონფლიქტი;
- კორპორაციებთან დაკავშირებული დაბეგვრები;

---

[1] ჯგუფი მოიცავს DK ჰოლდინგის ინვესტიციებს, ენერგო -პრო a.s. -ის ერთპიროვნულ და პირდაპირ აქციონერს და მის ყველა პირდაპირ და არაპირდაპირ სუბსიდიარს.

[2] ეს მოიცავს თაღლითობას, მექრთამეობას და კორუფციას, ფულის გათეთრებას, ტერორისტული საქმიანობის დაფინანსებას და სხვა დანაშაულებებს და სამართალდარღვევებს (მათ შორის, კანადასთან მიმართებაში, კანადის სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრულ ყველა სხვა სისხლის სამართლის დანაშაულს და კანადის ფედერალური ან პროვინციული კანონების დარღვევას).

- მომხმარებლის დაცვა (პროდუქტის უსაფრთხოებისა და შესაბამისობის ჩათვლით);
- დისკრიმინაცია;
- გარემოს დაცვა (ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ჩათვლით);
- ფინანსური მომსახურება ბუღალტრული აღრიცხვისა და შიდა კონტროლისჩათვლით;
- შევიწროება, ბულინგი და სექსუალური გადაცდომა;
- ჯანმრთელობა და უსაფრთხოება (მათ შორის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა);
- ადამიანის უფლებების დარღვევები;
- კომპანიის აქტივების არასათანადო გამოყენება;
- შიდა ვაჭრობა;
- პერსონალური მონაცემების დაცვა და კონფიდენციალურობა;
- ქსელების და ინფორმაციული სისტემების უსაფრთხოება;
- კანონი შესყიდვების შესახებ;
- ევროკავშირის ფინანსური ინტერესის დაცვა;
- საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და შიდა უსაფრთხოება.

ინფორმატორის მიერ ცუდად შესრულებულ საქმიანობასთან დაკავშირებული საჩივრები/საკითხები განხილვა ხდება ამ პირის ზედამხედველის საშუალებით, შესაბამისი ადამიანური რესურსების დეპარტმანეტის და/ან შესყიდვების დეპარტამენტის მიერ. სამსახურთან დაკავშირებული სამართლებრივი დარღვევა განხილულია შიდა საჩივრების/პრეტენზიების მართვის მექანიზმების (წესის) პროცედურების საშუალებით. სხვა გარე დაინტერესებულ მხარეებთან, როგორიცაა ადგილობრივი მოსახლეობა საჩივრების განხილვა კი ხდება გარე საცივრების/პრეტენზიების მართვის მექანიზმის (წესის) პროცედურის საშუალებით.

3. მიზნები

პოლიტიკის მიზნებია:

- დაცულ იქნას ეს დირექტივა, ნებისმიერი სახელმწიფო/ეროვნული კანონი,რომელსაც ეხება და ნებისმიერი სხვა კანონი, რომელიც სავალდებულოა ჯგუფის კომპანიებისთვის ინფორმატორთა დაცვასთან დაკავშირებით (მათ შორის, კანადის კონტექსტში, კანადის და კვებეკის შესაბამისი კანონები);
- დაიცვას ის ადამიანები, რომლებიც გამოავლენენ დარღვევებს (იგულისხმება შესაძლო უკანონო ქმედებები ან სხვა მატერიალური დანაშაული, როგორც ეს აღწერილია ზემოთ) თავიანთი საქმიანობის შესრულების დროს;
- თავიდან იქნას აცილებული შურისძიება დამსმენი პირების და სხვა პირთა მიმართ (როგორც მოცემულია ქვემოთ მოცემულ მე 6 ნაწილში).

4. ინფორმაციის შეტყობინების პროცედურა

პოლიტიკის შესაბამისად, დარღვევების შესახებ შეტყობინების მსურველებმა უნდა დაიცვან შემდეგი პროცედურა:

ა. დაუკავშირდეს ქვემოთ მოცემულ მე-5 ნაწილში მითითებულ, განგაშის პოლიტიკის მიერ განსაზღვრულ საკონტაქტო პირს (ე.წ. “WBDP”), #1 დანართში აღნიშნული ნებისმიერი

საშუალებით. ანონიმურად დარჩენის მსურველებმა ამის შესახებ უნდა უთხრან განგაშის/ინფორმირების პოლიტიკის მიერ განსაზღვრულ პირს პირველივე კონტაქტისას.

ბ. განგაშის პოლიტიკის მიერ განსაზღვრული პირი გაითვალისწინებს მნიშვნელოვან საკითხებს და მოითხოვს დოკუმენტურ მტკიცებულებებს, თუ ეს შესაძლებელია. ინფორმატორმა რაც შეიძლება მეტი დეტალური ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს.
მნიშვნელოვან ინფორმაციაში იგულისხმება:

- საკითხის არსი;
- თარიღი, დრო და ადგილმდებარეობა;
- თითოეული პირის სახელი, მისი ფუნქციის და დეპარტმენტის ჩათვლით;
- ურთიერთობის სახე შესაბამის პირთან;
- როგორ მოხდა ინფორმაციის მოპოვება;
- მოწმეები;
- სხვა შესაბამისი ინფორმაცია ანგარიშის გასამყარებლად (მაგალითად, დოკუმენტები, ფოტოები და ა.შ.)

გ. განგაშის პოლიტიკის მიერ განსაზღვრული პირი დაადასტურებს თითოეული ინფორმაციის მიღებას 7 დღის განმავლობაში და ამის შემდეგ ჩაატარებს პირველად გამოძიებას, შესაბამისი სამსახურებიდან და / ან ადგილებიდან ნებისმიერი საჭირო დახმარების აღმოჩენის მიზნით. თუ საჭიროა სხვადასხვა სამსახურებთან / საიტებთან კონტაქტი, განგაშის პოლიტიკის მიერ განსაზღვრული პირი უზრუნველყოფს, რომ გამოძიების მომხრე პირებმა გაითვალისწინონ პოლიტიკით განსაზღვრული დებულებები და დაიცვან ინფორმატორები, მათ შორის ნებისმიერი ტიპის სამაგიეროს გადახდის თავიდან ასაცილებლად.

დ. თუ პირველადი გამოძიება მიუთითებს შესაძლო გადაცდომაზე, განგაშის პოლიტიკის მიერ განსაზღვრული პირი აცნობებს ჯგუფის გენერალურ მრჩეველს (GC) და განაგრძობს გამოძიებას. განგაშის პოლიტიკის მიერ განსაზღვრული პირი აცნობებს ჯგუფის გენერალურ კონსულტანტს გამოძიების მიმდინარეობის შესახებ.

ე. საქმის შინაარსიდან და არსებული მტკიცებულებიდან გამომდინარე, განგაშის პოლიტიკის მიერ განსაზღვრული პირი ჩაატარებს სრულყოფილ გამოძიებას. საჭიროების შემთხვევაში გაივლიან შიდა და გარე იურიდიულ კონსულტაციებს. გამოძიება გულისხმობს:

- სამართლიანობის დაცვას;
- კონფიდენციალურობის დაცვას (მათ შორის არაუფლებამოსილი თანამშრომლებისათვის ინფორმაციის გადაცემას);
- გამოძიების ეფექტურად და შეუფერხებლად წარმოებას;
- იმის დადგენას არსებობს თუ არა საკმარისი მტკიცებულებები დანაშაულის დასამტკიცებლად;
- დამოუკიდებლობას იმ ხალხისგან, რომლებიც კავშირში არიან საეჭვო ფაქტებთან;
- უდანაშაულობის პრეზუმციის დაცვა საქმის დასრულებამდე.

ვ. განგაშის პოლიტიკის მიერ განსაზღვრული პირი მოამზადებს მოხსენებას, რომელშიც აღწერილი იქნება საქმე და გამოძიების შედეგები. ანგარიში გადაეცემა ჯგუფის გენერალურ კონსულტანტს/მრჩეველს (GC).

ზ. ჯგუფის გენერალური კონსულტანტი/მრჩეველი (GC) განიხილავს ანგარიშს 7 დღის ვადაში და ამის შემდეგ დაუყოვნებლივ გადასცემს ანგარიშს, ძირითად მიგნებებს და სამოქმედო გეგმას დირექტორთა საბჭოს შემდგომი დამტკიცებისთვის.[3]

თ. განგაშის პოლიტიკის მიერ განსაზღვრული პირი აცნობებს ინფორმატორს გამოძიების შედეგებს და ასევე დირექტორთა საბჭოს მიერ 30 დღის განმავლობაში ჩატარებული მოქმედებების შესახებ მას შემდეგ რაც სცნობს/ დაადასტურებს პირველადი რეპორტის მიღებას. შესაძლებელია საბოლოო ვადის გადადება 30 დღემდე, ერთხელ ან ორჯერ, მაგრამ ყოველ შემთხვევაზე ინფორმატორს უნდა ეცნობოს აღნიშნულის თაობაზე, გადადების მიზეზის განმარტებით სანამ საბოლოო ვადა ამოიწურება.

<u>დამატებითი ინფორმაცია ინფორმატორებისათვის:</u>

ა. ინფორმატორმა უნდა უზრუნველყოს რომ ჰქონდეს საფუძლიანი ეჭვი დანაშაულის თაობაზე. რეალურად, მტკიცებულებების და სხვა საკმარისი ინფორმაციის გარეშე ნაკლებად სავარაუდოა დანაშაულის დამტკიცება, თუმცა ინფორმატორს არ სჭირდება ამტკიცოს ბრალდება ნებისმიერი კანონიერად აღიარებული სტანდარტის მიმართ.

ბ. თუ ინფორმატორი შეგნებულად გვაწვდის ცრუ ან შეცდომაში შემყვან ინფორმაციას, ამან შესაძლოა გამოიწვიოს დისციპლინური პასუხისმგებლობა და/ან სხვა სამართლებრივი შედეგები.

გ. კანონიერი ინფორმაციის გამჟღავნების შემთხვევაში ENERGO-PRO დაიცავს ინფორმატორის ვინაობას.

დ. თუ ინფორმატორი განიცდის რაიმე შესაძლო შურისძიების განხორციელების საფრთხეს, დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს განგაშის პოლიტიკის მიერ განსაზღვრულ პირს.

ე. ფიზიკურად და კანონიერად მოპოვებული ელექტრონული (მათ შორის აუდიო-ვიზუალური) ჩანაწერები, რომლებიც შექმნილია პოლიტიკის შესაბამისად, და სხვა მასალები, რომლებიც დაკავშირებულია მოხსენების ნებისმიერ გამოძიებასთან, შენახული იქნება გონივრული და პროპორციული ვადით, მოქმედი პირობების გათვალისწინებით. კანონები, რომლებიც არეგულირებს მამხილებელს, მონაცემთა დაცვას და ა.შ.[4] ყველა ჩანაწერი უსაფრთხოდ უნდა იყოს შენახული მათი კონფიდენციალურობისა და

[3] კანადაში ან აშშ-ში მოქმედი ჯგუფის კომპანიებისთვის, GC დაუკავშირდება იურიდიულ ან სხვა კომპეტენტურ პირს ნებისმიერი მოხსენების ფაქტისა და შედეგების შესახებ, რომელიც დაკავშირებულია სავარაუდო შევიწროებასთან, დაშინებასთან, სექსუალურ გადაცდომასთან, ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან (მათ შორის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვასთან) , ადამიანის უფლებების დარღვევა, პერსონალური მონაცემების დაცვა, კონფიდენციალურობა ან დისკრიმინაცია.

[4] კანადაში ეს მოიცავს ჩანაწერების შენარჩუნებას მინიმუმ ხუთი წლის განმავლობაში, კანადის ფინანსური ტრანზაქციებისა და ანგარიშების ანალიზის ცენტრის (“FINTRAC”) დირექტივების და კანადის სხვა მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად.

მთლიანობის უზრუნველყოფის მიზნით.

ვ. ინფორმატორს ასევე შეუძლია გარე ანგარიშის წარდგენა ნებისმიერ საჯარო დაწესებულებაში, დირექტივის ან მოქმედი და სავალდებულო კანონების შესაბამისად („გარე არხი“), რომლის დეტალებიც ხელმისაწვდომია მე-2 დანართში. თუმცა, იგი წახალისებულია პირველ რიგში გამოიყენოს შიდა ანგარიშგების პროცედურა, რომელიც შეიქმნა პოლიტიკის შესაბამისად, ეს არის უმარტივესი, ყველაზე უსაფრთხო და ყველაზე ეფექტური გზა მოხსენების საკითხთანდაკავშირებით[5].

ზ. მამხილებელმა უნდა მოამზადოს ანგარიში WBDP-ის, ან გარე არხის მეშვეობით, პოლიტიკის შესაბამისად შურისძიებისგან დაცვის ხარისხის შესახებ.

5. ENERGO-PRO-ს მიერ დანიშნული პირი

განგაშის პოლიტიკის მიერ განსაზღვრული პირია: კატერინა გარსია (ეკოლოგიური და სოციალური ჯგუფის ხელმძღვანელი).

თუ რომელიმე ჯგუფის კომპანიას აქვს შიდა აუდიტის განყოფილება, ან მოქმედი ეროვნული კანონმდებლობა მოითხოვს ანგარიშების წარდგენას ამ გზით, იქნება # 3 დანართში დასახელებული პირი ან მისი შემცვლელი სხვა პირი, როდესაც ანგარიში წარდგენილია პოლიტიკის საშუალებით.

თუ ინფორმატორი ეჭვობს, რომ განგაშის პოლიტიკის მიერ განსაზღვრული პირი - WBDP შესაბამისი WBDP ჩართულია შესაძლო დარღვევაში, ან თუ მოხსენების შედგენიდან 7 დღის განმავლობაში არ იქნება პასუხი, ანგარიში უნდა გაეგზავნოს (ან ხელახლა გაეგზავნოს) GC-ს.

6. ENERGO-PRO-ს ვალდებულება

ENERGO-PRO ვალდებულებას იღებს, რომ გამოიძიოს ყველა საქმე, რომელსაც ინფორმატორი მიაწვდის, პატივისცემით მოეპყროს ინფორმატორებს და დაიცვას ისინი ყოველგვარი შევიწროებისაგან და შურისძიებისაგან. ასევე დაიცვას ყველა ის პირი, ვინც დაკავშირებულია ინფორმატორთან (მაგალითად, თანამშრომლები ან ნათესავები) ან ის პირები, ვისთვისაც მუშაობს ინფორმატორი.

განგაშის პოლიტიკის მერ განსაზღვრული პირის ვინაობა დარჩება ანონიმური. განგაშის პოლიტიკის მიერ განსაზღვრული პირი - WBDP, განიხილავს საკითხს მამხილებელთან და მიიღებს მის ცალსახა თანხმობას მისი ვინაობის გამხელამდე. თუმცა, არსებობს კონკრეტული სამართლებრივი გამონაკლისები, როდესაც მამხილებლის ვინაობის გამჟღავნება შეიძლება საჭირო გახდეს თანხმობის გარეშე. ეს გამონაკლისები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ შემდეგი გარემოებებით:

---

[5] კანადაში, გარე გამჟღავნებისას დამსაქმებლისადმი ლოიალობის ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად, ინფორმატორი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:
• დარწმუნებული იყოს, რომ გამჟღავნებული ინფორმაცია სიმართლეს შეესაბამება;
• კეთილსინდისიერად იმოქმედოს (მაგ. არ უნდა იყოს მოტივირებული შურისძიებით);
• გაამჟღავნოს მხოლოდ საჯარო ინტერესის მქონე ინფორმაცია;
• ამოწურული ჰქონდეს შიდა საშუალებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში); და
• უზრუნველყოს, რომ გარე გამჟღავნების ფარგლები იყოს დასახული მიზნის პროპორციული.

- სასამართლოს დადგენილების ან კანონიერი მოთხოვნის შესრულება; და
- სიტუაციები, როდესაც კანონით არის მოთხოვნილი ვინაობის გამხელა სამართალდამცავი ორგანოებისთვის ან სხვა მარეგულირებელი ორგანოებისთვის.

ყველა შემთხვევაში, როდესაც მამხილებლის ვინაობის გამჟღავნება აუცილებელია, მამხილებელს ეცნობება გამჟღავნების შესახებ, თუ ეს კანონით არ არის აკრძალული.

ENERGO-PRO არ ეცდება რაიმე სახით შური იძიოს ინფორმატორზე. შურისძიებად შეიძლება ჩაითვალოს:

- გათავისუფლება;
- დაქვეითება;
- ხელფასის შემცირება;
- სამუშაო საათების შემცირება ან გაზრდა;
- სამუშაოს გადაცემა თანხმობის გარეშე;
- დაწინაურების და განვითარების შესაძლებლობების არ მიცემა;
- სამუშაოს შესრულების ნეგატიური შეფასება, თუ ეს სიმართლეს არ შეესაბამება;
- შევიწროება, დაშინება, მუქარა ან ბულინგი.

7. გავრცელების ზონა

პოლიტიკა ხელმისაწვდომია კომპანიის ვებ-გვერდზე. იგი შეიცავს სტანდარტულ ბიზნეს წესებსა და პირობებს, რომელთა გადახედვა შეიძლება მოხდეს კომპანიის ხელმძღვანელების, მენეჯმენტის, თანამშრომლების, კონტრაქტორების და ქვეკონტრაქტორების მიერ. პოლიტიკა განიხილება რეგულარულად და განახლდება საჭიროების შემთხვევაში, პარტნიორებისა და დაინტერესებული მხარეების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, პერიოდული, სისტემური და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის შიდა აუდიტის ჩატარებით.

8. მონაცემთა დაცვა

დანართი #4 აღწერს ჯგუფის კომპანიების უფლებებს, მონაცემთა ადმინისტრატორის უფლებამოსილებიდან გამომდინარე, დაამუშავონ თანამშრომლების და ცალკეული ასოცირებული პირების პერსონალური მონაცემები, რომლებიც აცხადებენ დარღვევების შესახებ (როგორც ეს განსაზღვრულია ზემოთ) ან მონაწილეობენ ნებისმიერ შიდა გამოძიებაში, რომელიც ეყრდნობა ასეთ განცხადებას. ჯგუფმა მოამზადა მონაცემთა დაცვის პოლიტიკა, რომელიც ეხება (სხვა საკითხებთან ერთად) ანგარიშგების პროცედურას და მის საფუძველზე განხორციელებულ ნებისმიერ შემდგომ გამოძიებას და მოქმედებას.

9. ძალაში შესვლა

პოლიტიკის ეს ვერსია ძალაშია 2024 წლის 1 ივლისიდან და სრულად ცვლის პოლიტიკის ნებისმიერ ადრინდელ ვერსიას.

დანართი #1

ანგარიშის შედგენის საშუალებები

შეგიძლიათ შეადგინოთ ანგარიში პოლიტიკის მიხედვით (ან სხვაგვარად დაუკავშირდეთ განგაშის პოლიტიკის მიერ განსაზღვრული პირWBDP-ს) რომელიმე შემდეგი გზით:

1. ვებ-გვერდი

- შედით ვებ-გვერდზე https://www.faceup.com;
- დააწკაპუნეთ ჩანართზე „ანგარიშის შექმნა“;
- დააწკაპუნეთ ჩანართზე „ჩემი ორგანიზაცია“;
- შეიყვანეთ წვდომის კოდი „EPreport“ (შემთხვევასთან დაკავშირებული);
- დააწკაპუნეთ ჩანართზე „ანგარიშის შექმნა“;
- ჩამოსაშლელი მენიუდან აირჩიეთ მოხსენების კატეგორია; და
- შეავსეთ შესაბამისი ფორმა.

2. მობილური აპლიკაცია

- ჩამოტვირთეთ აპლიკაცია (ქვემოთ მოცემულია QR კოდი);
- გახსენით და შედით აპლიკაციაში;
- დააწკაპუნეთ ჩანართზე „ანგარიშის შექმნა“;
- დააწკაპუნეთ ჩანართზე „ჩემი ორგანიზაცია“;
- შეიყვანეთ წვდომის კოდი „EPreport“ (შემთხვევასთან დაკავშირებული);
- დააწკაპუნეთ ჩანართზე „ანგარიშის შექმნა“;
- ჩამოსაშლელი მენიუდან აირჩიეთ მოხსენების კატეგორია; და
- შეავსეთ შესაბამისი ფორმა.

3. სხვა

- ფოსტა: კატერინა გარსია, ENERGO-PRO a.s., Palladium, Na Poříčí 3a, 110 00 პრაღა 1, ჩეხეთი;
- ელ-ფოსტა: c.garcia@energo-pro.com;
- ტელეფონი: +90 534 277 5234 (თურქეთი); +420 777 731 616 (ჩეხეთი); ან
- პირადად: შეთანხმებით (მოთხოვნიდან 7 კალენდარული დღის განმავლობაში)

პირისპირ შეხვედრის დროს განხორციელებული სიტყვიერი კომუნიკაცია უნდა იყოს დოკუმენტირებული და ჩანაწერი მომზადდეს უსაფრთხო, გამძლე და ხელმისაწვდომი ფორმატით ან ზუსტი და სრული ტრანსკრიპტით. ეს ზიანს არ აყენებს მამხილებლის

უფლებებს მონაცემთა დაცვის კანონმდებლობით და შესაძლებლობას აძლევს, გადაამოწმოს, გაასწოროს და დაეთანხმოს საუბრის ჩანაწერს ხელმოწერით.

დანართი #2

საკონტაქტო ინფორმაცია გარე ანგარიშგების არხებისთვის

ბულგარეთის რესპუბლიკისთვის

პერსონალურ მონაცემთა დაცვის კომისია

1. წერილობით:
ელექტრონული ფოსტით: whistleblowing@cpdp.bg
ფოსტით: სოფია 1592, 2 პროფ. ცვეტან ლაზაროვის ბულვარი.

2. ზეპირად:
ადგილზე CPPD-ში მისამართზე: სოფია 1592, პროფ. ცვეტან ლაზაროვის ბულვარი

კანადისთვის

1. ფულის გათეთრებასა და ტერორიზმის დაფინანსებასთან დაკავშირებული საკითხებისთვის:

კანადის ფინანსური ტრანზაქციებისა და ანგარიშების ანალიზის ცენტრი (FINTRAC): https://fintrac-canafe.canada.ca/intro-eng

2. სისხლის სამართლის დანაშაულისთვის (მაგ., კორუფცია, თაღლითობა):

დაუკავშირდით თქვენს ადგილობრივ სამართალდამცავებს.

მხოლოდ კვებეკისთვის

3. კვებეკის საჯარო ორგანოსთან დაკავშირებული საკითხებისთვის:

Protecteur du Citoyen: https://protecteurducitoyen.qc.ca/en/whistleblowers/how-to-disclose-a-wrongdoing(ონლაინ ან ტელეფონით: +1-800-463-5070)

4. შრომის სტანდარტებთან, სამუშაო ადგილზე თანასწორობასთან, ჯანმრთელობასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხებისთვის:

Commission des normes, de l'équité, de la santé et de la sécurité du travail (CNESST): https://www.cnesst.gouv.qc.ca/en/client-services/complaints-recourses

5. ფინანსური ბაზრის რეგულირებასთან დაკავშირებული საკითხებისთვის, თაღლითობის ჩათვლით:

Autorité des marchés financiers (AMF):https://lautorite.qc.ca/en/general-public/assistance-and-complaints/whistleblower-program

6. გარემოსდაცვითი კანონების შეუსრულებლობასთან დაკავშირებული საკითხებისთვის (მაგ., ნარჩენების მართვა, დაბინძურება და ა.შ.):

Ministère de l'Environnement, de la Lutte contre les changements climatiques, de la Faune et des Parcs:https://www.environnement.gouv.qc.ca/ministere/plaintes/env-complaint.htm

კოლუმბიისთვის

1. ტრანსნაციონალური მექრთამეობის საკითხებისთვის:
კომპანიების ხელმძღვანელობას შემდეგი ბმულით:
https://www.supersociedades.gov.co/delegatura_aec/Paginas/Canal-de-Denuncias-Soborno-Internacional.aspx

2. კორუფციულ საკითხებზე
გამჭვირვალობის ოფისს შემდეგი ბმულით:
https://www.secretariatransparencia.gov.co/observatorio-anticorrupcion/portal-anticorrupcion

ჩეხეთის რესპუბლიკისთვის

იუსტიციის სამინისტრო

1. წერილობით:
აქ ხელმისაწვდომი ფორმის საშუალებით:https://oznamovatel.justice.cz/chci-podat-oznameni/
ელექტრონული ფოსტით:oznamovatel@msp.justice.cz,mnetocny@msp.justice.cz
ფოსტით: Vyšehradská 16, პრაღა 2, საფოსტო კოდი 128 10
ტელეფონით: +420 221 997 840

2. ზეპირად:
ადგილზე ჩეხეთის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში მისამართზე: Vyšehradská 16, პრაღა 2, საფოსტო კოდი 128 10

საქართველოსთვის

ინფორმაცია არ არის

სლოვენიისთვის

ინფორმაცია არ არის

ესპანეთისთვის

ინფორმაცია არ არის

თურქეთის რესპუბლიკისთვის

ინფორმაცია არ არის

აშშ-სთვის

სახიფათო ან არაჯანსაღ პირობებთან დაკავშირებული საკითხებისთვის:
აშშ-ს შრომის დეპარტამენტი, შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის ადმინისტრაცია (OSHA)

1. წერილობით

აქ ხელმისაწვდომი ფორმის საშუალებით:https://www.osha.gov/whistleblower/WBCcomplaint
ფაქსით: (205) 731-0504 (ბირმინგემის OSHA ტერიტორიული ოფისი)

2. ზეპირად:
ადგილზე ბირმინგემის OSHA ოფისში, სამედიცინო ფორუმის შენობა 950 22-ე ქუჩა ჩრდილეოთით, ოთახი 1050, ბირმინგემი, AL 35203
ტელეფონით: +1 205 731-1534 (ბირმინგემის OSHA ოფისი)

დანართი #3

საკონტაქტო ინფორმაცია ალტერნატიული WBDP-სთვის (სადაც საჭიროა მე-5 ნაწილში)

ბულგარეთის რესპუბლიკისთვის

(Energo-Pro Bulgaria EAD)
ქალბატონი კრასიმირა მაშევა
ელფოსტა:signals1@energo-pro.com
ტელეფონი: +359 887 710 665

(Energo-Pro Varna EAD)
ბატონი ილია მარინოვი
ელფოსტა: iliya.marinov@energo-pro.bg
ტელეფონი: +359 892 200 545

კანადისთვის

ინფორმაცია არ არის

კოლუმბიისთვის

ქალბატონი მარია დელ პილარ დუპლატ მ.
ელფოსტა: m.duplat@energo-pro.com
ტელეფონი: +57 311 4754609

ჩეხეთის რესპუბლიკისთვის

ინფორმაცია არ არის

საქართველოსთვის

ქალბატონი ანნა ტიმკოვა
ელფოსტა: signals@energo-pro.ge
ტელეფონი: +995 577 350 855

სლოვენიისთვის

ქალბატონი ემა კოტმანი
ელფოსტა: zaupnik@litostrojpower.eu
ტელეფონი: +386 41 435 152

ესპანეთისთვის

ინფორმაცია არ არის

თურქეთის რესპუბლიკისთვის

ინფორმაცია არ არის

აშშ-სთვის

ინფორმაცია არ არის

დანართი #4

მონაცემთა დაცვა

მონაცემთა დამუშავების მიზანი:
დასაქმებულთა და ცალკეული ასოცირებული პირების პერსონალური მონაცემები, რომლებიც ამზადებენ ანგარიშს პოლიტიკის შესაბამისად ან მონაწილეობენ ნებისმიერ სამართალწარმოებაში, რათა დადგინდეს, ადგილი ჰქონდა თუ არა დარღვევას, შეიძლება დამუშავდეს ჯგუფის შესაბამისი კომპანიის, როგორც მონაცემთა ადმინისტრატორის მიერ.

დამუშავების მიზანი იქნება დადგინდეს, ადგილი ჰქონდა თუ არა დარღვევას, განისაზღვროს რისკები ჯგუფისთვის და შემდგომი სამართლებრივი ზომები, მათ შორის, ქრთამის აღების ან ფულის გათეთრების შესახებ შეტყობინება შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოებისთვის.

მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძველი:
ჯგუფის შესაბამისი კომპანია დაამუშავებს პერსონალურ მონაცემებს მონაცემთა ადმინისტრატორის კანონიერად გამართლებული ინტერესების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მონაცემთა სუბიექტების ინტერესები ან ფუნდამენტური უფლებები და თავისუფლებები უპირატესი ხასიათისაა.

მონაცემთა სუბიექტების უფლებები:
პირებს, რომელთა პერსონალური მონაცემები დამუშავებულია ზემოთ აღწერილი წესით, უფლება ექნებათ მოსთხოვონ ჯგუფის შესაბამის კომპანიას, მიანიჭოთ წვდომა ამ პერსონალურ მონაცემებზე და შეასწორონ, წაშალონ, შეზღუდონ მონაცემთა დამუშავების ფარგლები ან გააპროტესტონ მონაცემთა დამუშავება. ზემოაღნიშნული უფლებები ექვემდებარება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შეზღუდვებს. მონაცემთა სუბიექტებს ასევე ექნებათ უფლება, მიმართონ ნებისმიერ შესაბამის საჯარო ორგანოს, რომელიც პასუხისმგებელია პერსონალური მონაცემების დაცვაზე.

პერსონალური მონაცემები, რომლებიც დამუშავებულია ზემოთ აღწერილი წესით, შეიძლება გადაეგზავნოს პირებს, რომლებიც უზრუნველყოფენ იურიდიულ დახმარებას ან სასამართლო აუდიტს შესაბამისი ჯგუფის კომპანიისთვის ან მტკიცებულებების შეგროვების მიზნით, ზოგადად სავალდებულო კანონის შესაბამისად. ევროპის ეკონომიკური ზონის ფარგლებში წარმოშობილი პერსონალური მონაცემები არ გადაიგზავნება ევროპის ეკონომიკური ზონის გარეთ.

მონაცემთა დამუშავების ხანგრძლივობა:
პერსონალური მონაცემები, რომლებიც დამუშავდება ზემოთ აღწერილი წესით, დამუშავდება იმ პერიოდებისთვის, რომლებიც ნებადართული ან მოთხოვნილი იქნება ზოგადად სავალდებულო კანონით ან ნებისმიერი მოქმედი ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე.

დამატებითი მონაცემების დაცვისა და ტრანსსასაზღვრო კომუნიკაციის შეტყობინება (გამოიყენება მხოლოდ კანადისა და კვებეკის შემთხვევაში):
კვებეკში კერძო სექტორში პერსონალური ინფორმაციის დაცვის შესახებ კანონის შესაბამისად („ARPPIPS“ ან „კანონი 25“), პოლიტიკა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დამუშავებას კონფიდენციალურობის უმაღლესი პარამეტრებით და ინარჩუნებს სრულ გამჭვირვალობას მონაცემთა შეგროვების მიზნებთან, შენახვის ვადებთან და მესამე მხარისათვის ნებისმიერი სახით გამჟღავნებასთან დაკავშირებით

გარდა ამისა, ეს ნაწილი წარმოადგენს კონკრეტულ შეტყობინებას ყველა თანამშრომლისა და ასოცირებული პირისთვის, რომლებიც წარადგენენ ანგარიშებს პოლიტიკის შესაბამისად, კვებეკისა და კანადის ფარგლებს გარეთ პერსონალური მონაცემების დამუშავებასა და პოტენციურ კომუნიკაციასთან დაკავშირებით, მონაცემთა დაცვის ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად.

მონაცემთა ტრანსსასაზღვრო კომუნიკაცია:
25-ე კანონის მე-8 ნაწილის მე-2 პუნქტით განსაზღვრული გამჭვირვალობის ვალდებულებების და კონფიდენციალურობის შესახებ კანადის მოქმედი კანონების შესაბამისად, პირებს ეცნობებათ, რომ პოლიტიკის ფარგლებში შეგროვებული მათი პერსონალური მონაცემები შეიძლება გადაცემული იქნას კვებეკსა და კანადას გარეთ. ასეთ კომუნიკაციას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს გარე იურიდიულ სერვისებთან, სასამართლო აუდიტის სერვისებთან ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში.

ჯგუფის შესაბამისმა კომპანიამ უნდა უზრუნველყოს, რომ მონაცემთა ყველა გადაცემა შეესაბამებოდეს საკანონმდებლო მოთხოვნებს და უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი გარანტიები.